წელიწადი მე-2-ე

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა ერთჯერ ნაშუადღევის 2. საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ტელეფონი № 76

№ 350 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 350

8 მაისს ქალაქ ქუთაისში, საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილის პროვიზორის თანაშემწის

## მიხეილ (მიშიკო) სოლომონის ძის ახვლედიანის სულის მოსახსენებლად.

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი მშობლები განსვენებულისა სოლომონ ალექსანდრეს ძე და მეუღლე ანნა (ასინეთ) თავად მიხეილ ნიჟარაძის ასული ახვლედიანები, ძმა პოდპორუჩიკი ალექსანდრე (მამია) სოლომონის ძე ახვლედიანი, გამზრდელი ბებია ქვრივი ნიფო თ-დ დიმიტრი ნიჟარაძის ასული მდივნისა და ბიძა თავადი მინა მიხეილის ძე ნიჟარაძე.

160 წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 2—2

---

იასონ ივანეს ძე და შვილები მისი: ალიოშა, თამარა და მარო; ივანე გიორგის ძე და მეუღლე მისი პასიკო პეტრეს ასული გორგიძეები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი ძვირფასი მეუღლისა, მეორენი დედის და დანარჩენები დაუვიწყარი რძლის

## დესპინე ისიდორეს ასულის გორგიძის

გარდაცვალებას — უმორჩილესად გთხოვენ მობრძანდეთ მიცვალებულის გამოსვენებაზე, კვირას, 8 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზ, რუბანის ქუჩა, საკუთარი სახლი. 1—1

---

**ქალაქი ქუთაისი.** **ქალაქის თეატრი.**

## ვალერიან შალიკაშვილის საღამო.

შაბათს, 7 მაისს, ვალ. შალიკაშვილი ბბ **მ ბალანჩივაძის, მ. ნემოს, დ. მეს ხ ს, ბ. ტაბიძის** და ქართ. მსახიობთა მონაწილეობით გამართავს წარმოდგენას; წარმოდგენილი იქნება:

1.

## იასონის ღინები.

კომ. 2 მოქ ი. გომართელისა

2.

## სალიტერატურო განყოფილება

3.

## დივერტისმენტი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივილი.

გამგე **მ. შალიკაშვილი.**

---

**ქალაქის თეატრი.**

კვირას, 8 და ორშაბათს, 9 მაისს, თბილისის ქართ. მომღერალთა გუნდი

## მიხეილ კავსაძის

ლოტბარობით გამართავს სხვადასხვა პროგრამით ორ დიდ

# კონცერტს

**პირველსა და მეორე დღეს შესრულებულ იქნება სხვადასხვა სიმღერები.**

ადგილების ფასი 3 მ. 50 კ დან ვიდრე 50 კ-მდე.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

ადმინისტრატორი ა. ყალაბეგიშვილი გუნდის გამგეობა.

---

## ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 5 მაისიდან მხოლოდ მოზრდილთავის ახალი პროგრამა.

**გომონის ქრონიკა 36** მიმდინარე ამბები

## ერთი შეისაპნა, მეორე გაიპარსა

ფარსი 4 ნაწ. პროლოგით და ეპილოგით სვეტლოვის, ვერნერის, პანოვის, მურაკოვის, დუნაევის, ნილინისა და სხვათა მონაწილეობით. რეჟისორი ბინ-ტომაშევსკი.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 9 მაისიდან **გომონ ს ქრონიკა 36** მიმდინარე ამბები

## გასჩუმდით, დაწყევლილო სიმებო!

დადგმულია ნ. პ. მალაკოვისაგან პოკროვსკისა და კაშევსკის მონაწ.

**დარჩა მეოტუებული, მაგრამ უკბილო** კომიკური.

---

ადგილების ფასი „**ამპირსა**“ და „**რადიუმში**“; ლოჟა 85 კაპ, 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ, ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

---

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას

# იროდიონ ევდოშვილის

## (ხოსიტაშვილის)

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი დანიშნულია, 8 მაისს მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში დილის 12 საათზე.

---

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 5 მაისიდან ახალი პროგრამა **პატე-ჟურნალი.**

მიმდინარე ამბები.

## და... ყველაფერი დატირებულია...

## დაცინულ-დამსხვრეულია

საყურადღებო დრამა ხუთ ნაწ. მონაწ. იღებს ვარშავის მთავრობის თეატრის მსახიობი ტოლი ნეგრი.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 9 მაისიდან **პატე ჟურნალი 339** მიმდინარე ამბები

## ცეკვა სიბოროტისა

მხატვრული დრამა 5 ნაწილად

ცნობილ მსახიობ ქალის ფრანჩესკო ბერტინის მონაწილეობით.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქ. , სავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, $12^1/_2$— საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ვილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87

14 თ.

---

**ექიმი მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

## ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის. პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძასა. თ.

---

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ.

11

---

# უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

**4 მაისი.**

### დასავლეთის ასპარეზი.

აბოლეს ტბის სამხრეთით, გერმანელთა იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა. მიტავა კრაიცბურგის რკინის გზის მიდამოში გერმანელებმა მხრჩოლავი ბოლი იხმარეს. სვეტენის ტბის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა გაარღვია მტრის მავთულიანი სიმაგრენი და თხრილები წაართვა. 3 მაისს ღამით, ნოესელკას მიდამოებში, კრევოს სამხრეთით, მტრის თხრილები ავაფეთქეთ. მტრის იერიშები საარტილერიო ცეცხლით შევაჩერეთ. ოლიკას დასავლეთით წინ წავიწიეთ. ამ ადგილებში მტრის პროჟექტორი დავაზიანეთ. ეზერნის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. ბოიანის ჩრდილოეთით, ავსტრიელები შეეცადენ გამოსვლას, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ისევ თხრილებში შერეკა.

### კავკასიის ასპარეზი.

დიარბექირის მიმართულებით ოსმალების იერიში მოვიგერიეთ.

—

დანარჩენი დეპეში იხილეთ მე-3-ე გვერდზე.

# ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

### ინგლისის ასპარეზზე.

ინგლისის სამხედრო შტაბმა გერმანელების წინააღმდეგ ახალი ჯარები გამოგზავნა. ეს ჯარი სულ კოლონიებისგან შესდგება.

### ეგვიპტე.

ეგვიპტეში ახლა ფიქრადაც არავის მოსდის, რომ ოსმალეთი ეგვიპტეზე აღარ გაილაშქრებს.

### სმირნა.

ოსმალებმა გერმანელების დახმარებით სმირნის სანაპიროებზე, შორს მსროლელი ზარბაზნები დასდგეს. ქალაქში სამხედრო საალყო წესებია გამოცხადებული.

### ნამინისტრალის დასჯა.

ოსმალეთის სამხედრო სასამართლომ ნამინისტრალ ნუბარ-ფაშას (სომეხია) როგორც მოღალატეს დახვრეტა გადაუწყვიტა.

### ტრიპოლი.

იტალია ტრიპოლში აჯანყების დაწყებას ელის, იქ ჯარები გაიგზავნა.

### რუსეთ გერმანიის ასპარეზი.

რუსეთის სამხედრო მაღალ წრეებში აშკარად ლაპარაკობენ, რომ გერმანელები რუსეთის ფრონტზე დიდ ოპერაციის დაწყებას აპირებენო.

### სპარსეთი.

უკანასკნელ დროს რუსეთის ჯარის წინსვლა დიდათ აფიქრებს მეამბოხე თემებს, თუმცა გერმანელი აგენტები ყოველ ღონეს მიიღებენ მათ გასამხნევებლად.

### რუმინია.

რუმინიაში ჩუმი სამხარი მზადება დაწყებულია. როგორც ეს მზადება იდუმალებით არის მოცული, ისე იდუმალებით არის მოცული ის, თუ ვის დაეტაკება რუმინია. ევროპის პრესა მას ახლა ხაზგასმით გერმანელთა ორიენტაციის გამზიარებელს უწოდებს.

### ალბანეთი.

ალბანელები დიდი უკმაყოფილონი არიან იტალიის განზრახვებით. ალბანელების სიმპატიები ავსტრია-ოსმალეთის მხარეზეა.

### ომის ბედი.

სამხედრო ავტორიტეტის აზრით, ომის ბედი რუსეთის ასპარეზზე უნდა გადასწყდესო.

### სარდლების უთანხმოება.

საფრანგეთის ჯარის სარდლებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. უთანხმოება გამოწვეულია გაზეთში დაბეჭდილ წერილებით

### რუმინია-ავსტრიის შეთანხმება.

რუმინია ავსტრიამ სავაჭრო ხელშეკრულობას უკვე ხელი მოაწერეს, როგორც ვიცით, ასეთივე ხელშეკრულობა დაიდვა გერმანიისა და რუმინიის შორის, რასაც შეთანხმების სახელმწიფოთა დიპლომატები დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ.

### კუზმინ კარაევი.

რუსეთის სამხედრო საბჭოს წევრად დაინიშნა კუზმინ კარაევი, მიმართულებით მემარჯვენე.

### რუსეთის ასპარეზის შესახებ.

ევროპის სამხედრო ავტორიტეტნი დიდ ყურადღებას აძლევენ რუსეთის ბრძოლის ასპარეზს, სადაც ამ მოკლე ხანში იქ დიდი ამბები და ცვლილებაა მოსალოდნელი.

### გერმანია და ამერიკა.

ევროპის პრესის ცნობით, ამ მოკლე ხანში მოსალოდნელია გერმანია-ამერიკის შორის კონფლიქტის გამწვავებაო.

### ნაღმოსანის დაღუპვა.

ლიბავიდან გერმანელებს ალანდიის კუნძულისაკენ ნაღმოსანი გაუგზავნიათ, რომელიც იქ მდგომ ინგლის-საფრანგეთის გემებს ჩაუძირავთ.

### იტალიის ასპარეზზე.

ავსტრიელები ძლიერ შეტევას იწყებენ ტრენტინიის ნაწილში.

### ჰაეროპლანის დაღუპვა.

ბალკანეთზე ღოირანთან ჩამოვარდა და დაიღუპა ფრანგების ჰაეროპლანი „არეს“.

### სკოპია.

ათინიდან იუწყებიან: სკოპიაში (ბალკანეთი) ბულგარლებმა საბერძნეთის შენობა დაიკავეს თავისი ჯარი ჩააყენეს და შენობაზე ბულგარული დროშა აღმართესო.

### ბლოკადა.

საბერძნეთის ყველა სანაპირო ადგილი ინგლისის ფლოტის ბლოკადის ქვეშ არის.

# მსოფლიო ომი.

(დ ღ ი უ რ ი)

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზზე** გენერალი ჰინდენბურგი ამ ბოლო ხანს მეტ ყურადღებას ამცევს იაკობშტადტის ნაწილს. აქ განუწყვეტელი ბრძოლაა, თუმცა ამ ადგილებში გერმანელებს დიდი ძალებისათვის არ მოუყრიათ თავი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ რაიონში გერმანელების მოქმედებას უფრო დემონსტრაციული ხასიათი აქვს, რათა ამით მთავარ ბრძოლის ადგილებში რუსის ჯარი დაქსაქსონ. საარტილერიო მოქმედებას ისეთი სასტიკი ხასიათი აქვს, რომ მინსკის და ვილნოს მიდამოები არტილერიის ცეცხლს მთლათ გაუნადგურებია.

**ვერდენთან** ცვლილება არ მომხდარა. გერმანელები ისევ მაასის მარცხენა ნაპირზე უტევენ ფრანგებს. არგონებში ბრძოლა თანდათან ცხოველდება.

**ბალკანეთზე** უდიდესი ყურადღება ბულგარეთის ასპარეზისაკენ არის მიქცეული. აქ წინასწარ საარტილერიო ბრძოლას ორივე მოპირდაპირე აწარმოებს, ასე რომ, ორივე მხარე დიდი ბრძოლების დასაწყებათ ემზადება.

**ბელგიის ასპარეზზე** მდგომარეობა არ შეცვლილა.

**ინგლის-გერმანიის ასპარეზზე** გერმანელები დიდის სისწრაფით უტევენ ფრანგებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ დაიჭირეს 5000 იადრის სიგრძე მანძილი.

# ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

დიდი სახალხო სეირნობა. ხვალ ქალაქის სასეირნო ბაღში ქართ. შორ. წერ. კით. გამ. საზ. ქუთაისის განყოფილების სასარგებლოთ გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა. ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და ზურნა.

✦ კავკასიის მეფის მოადგილემ ნება დართო კლუბებში და საზოგადო შეკრებულებაში ითამაშონ ლოტო და სხ. დაწესებულ წესრიგის დაცვით.

✦ დღეს ქ. ფოთში გრ. ხაინდრავა მართავს სალიტერატურო საღამოს. პირველათ ხაინდრავა წაიკითხავს ლექციას „დღევანდელი ომი და ზავი". სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ია ეკალაძე, ლ. მაჭავარიანი, მ. ანაშვილი, ვ. ჭითავა, და ს. წეველი. ა. ნიშნიანიძე წაიკითხავს ჩვენი ნიჭიერ ბელეტრისტის ჯაჯუ ჯორჯიკიას' ჯერ დაუბეჭდავ მოთხრობას „ზღვაზე". მ. ანაშვილი წაიკითხავს გოგოლის შეშლილის წერილებს ქართულ ენაზე.

✦ კავკასიის მეფის მოადგილემ ცირკულიარით აცნობა ყველა გუბერნატორს, ოლქის უფროსებს და პოლიცმეისტრებს, რომ 31 აგვ. და 8 სექტ 1914 წ. გამოცემული სავალდებულო დადგენილება ღვინის ვაჭრობის შესახებ ყველგან ერთნაირათ არ ტარდება ცხოვრებაში. ზოგან ადმინისტრაცია თავისებურათ უკრძალავს მეღვინეებს ღვინის ვაჭრობასა და გადატან გადმოტანას, ამიტომ განკარგულება მოახდინეთ ხელახლა გამოაკრან გამოჩენილ ადგილს ეს ცირკულიარი, რომელიც მოყვანილია გაზეთ „კავკაზ"-ის 90-ე №-ში.

✦ გუშინწინ წყალწითელის ხიდის ქვეშ ბანაობის დროს დაიხრჩო ვილაც სათადარიგო ჯარის კაცი. დამხრჩვალის გვამი საღამოს ნახეს. ისე წელიწადი არ გაივლის, რომ აქ რაიმე უბედურება არ დატრიალდეს. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, რომ თავის დროზე იქნას ხოლმე მიღებული ზომები უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლათ.

✦ ადგილობრივი ქალაქის უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს მდგომარე წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდი ყოლია ჟურნალ გაზეთების მკითხველი 9000-მდი, სხვადასხვა წიგნის მკითხველი კი—6500 მდე.

✦ დღეს, ქუთაისის სომხების სკოლის დარბაზში, გადმოხვეწილთა სასარგებლოთ გაიმართება საოჯახო საღამო.

გუშინ, 6 მაისს, ხელმწიფის დაბადების დღეს ქუთაისში დიდი „პარადი" გადაიხადეს, რომელშიც ჯართან ერთად მონაწილეობას იღებდა ადგილობრივ სასპორტო კომიტეტის მოწაფენიც.

✦ დ. ძირულის ამხანაგობა „შრომის" გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რომ ამ საზოგადოებას სადგურ კატლიარევსკიდან სიმინდის მოსატანათ მიეცეს 5 ვაგონი საზოგადოების მომუშავე მუშებისა და საქონლის საჭიროებისათვის. ამასთანვე წარუდგინა მოწმობა ქ. სამარის საოჯახო კომისიისა სადაც ნათქვამია, რომ საზ. „შრომას" შეკვეთილი აქვს დაამზადოს 5,000. ფუთი ცეცხლის მიუკარებელი თიხა, სამხედრო საჭიროებისათვის.

✦ 5 მაისს, ქუთ. ფქვილის ვაჭარს მოშიშვილს სტავროპოლიდან მოუვიდა 5 ვაგონი პურის ფქვილი და 6 მაისს კი—2 ვაგონი.

✦ დ. ახალ სენაკში იხსნება უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი, რომლის სასარგებლოთაც, როგორც გადმოგვცეს, შეუგროვებიათ 7 ათას მანეთამდის.

✦ ამ მოკლე ხანში აქ გაიმართება ქართული წარმოდგენა ამავე სასწავლებლის სასარგებლოთ. თეატრის დარბაზი უკვე დაასრულეს.

✦ ბ. გრიგოლაშვილი ქალაქ გორის მოურავი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი:

„22 აპრილს დაახლოვებით შუადღის 3 საათზე თბილისის სადგურზე მე დავკარგე შავი აბგა (პორთფელი) რომელშიაც ეწყო პლანის ასლი (კოპიო) 10 დეს მიწისა რომელიც გადასცა ქ. გორმა სამხედრო უწყებას ყაზარმების ასაშენებლათ, სამი სახსოვარი წიგნაკი და სხვა წვრილი ქაღალდები

უმორჩილესად ვთხოვ მპოვნელს გამომიგზავნოს იგი აბგა ფოშტით ფასდადებით ანუ გადასცეს თბილისის სადგურის უფროსს ჩემდამი გადმოსაცემათ გორის სადგურის უფროსის ხელით.

✦ ქუთ. გუბერნატორმა ღვინის ნებადაურთველად გაყიდვისათვის დააჯარიმა პავლე ბიბილეიშვილი 25 მან. ან 7 დღით ციხეში დატუსაღებით.

✦ ზესტაფონის მცხოვ. ევა ნიქაბაძეს გუბერნატორმა ნება დართო, გახსნას დ. ზესტაფონში ჭრა-კერვის სკოლა.

✦ ქუთ. ქალაქის საოჯახო კომისიამ 3 მაისს დაადგინა ახლად მოსული პურის ფქვილი გაიყიდოს დროებით თითო 5 ფუთიანი ტომარი, 2 ხარისხის 19 მ. 25 კ., 3—18 მ. 75 კ., 4—18 მ. 25 კ., 5—18 მ 6—17 მ. 50 კ., 7—17 მ. 25 კ., 8—16 მ 75 კ., და დაევალა ფქვილის ვაჭრებს აღნიშნონ, ვინ რამდენს წაიღებს. პური გაიყიდება შემდეგი ნიხრით: პირველი ხარისხის ფურნის პური—27 კ., 2—24 კ., 3—20 კ.

✦ პარასკევს, 6 მაისს, ქუთაისის ბაზარზე შაბიამანი გირვანქა 2 მან. ფასობდა

✦ 6 მაისს დილით საფიჩხიაზე მცხოვრებმა მალაქია ტყაბლაძის ცოლმა ოლღამ სახლში ბაწრით თავი ჩამოიხრჩო. მიზეზი გამოურკვეველია.

✦ ჩვენს გაზეთში მოთავსებული ცნობა კერძო გიმნაზიის მოწაფეთა ჯარში გაწვევის შესახებ, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, არ შეეხება თბილისისა და ქუთაისის ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიებს, როგორც წოდებრივს.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ ცხოვრების" მე 8 ნომერი. ჟურნალი იყიდება „ძმობის" სტამბაში.

✦ ქუთაისის მოვაჭრე ძმ. ვარდენ და ვარლამ ჟორჟოლაძეებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ მიეცეთ მათ რიგს გარეშე 50 ვაგონი ჩრდილოეთ კავკასიიდან სიმინდის მოსატანათ. 15 ვაგონი სად. ხრესილში (ოკრიბა) და დანარჩენი კი ქუთაისში შემოსატანათ

✦ ქუთ. გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ. კ. გამავრ საზ. ქუთაისის განყოფილებას ქუთაისის გუბერნიაში შეკრიბოს შემოწირულება ომში დაღუპულ ქართველ ჯარის კაცთა სახსოვრათ ძეგლის ასაგებათ ქალაქ თბილისში დიდუბის ეკლესიასთან.

✦ ქუთ. გუბერნატორმა ნება დართო ნაფიცი ვექილის თანაშემწეს ბ-ნ დავით ონიაშვილს დ. ზესტაფონში წაიკითხოს ქართულ ენაზე ლექცია „ერობა კავკასიაში". იგივე ლექცია წაიკითხა თბილისში, 17 აპრილს.

## იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალების გამო.

პირველი სხდომა ბიუროსი, მგოსან ირ. ევდოშვილის დაკრძალვის შესახებ.

4 მაისს, საღამოს 8 საათზე „ახალ კლუბის" ფოიეში, მოხდა კრება ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებისა. კრებამ აირჩია ირ. ევდოშვილის დაკრძალვის წესრიგის მიმცემი ბიურო. არჩეულ ბიუროს იქვე ჰქონდა პირველი კრება.

კრებას დაესწრნენ ბიუროს წევრები: ს. მგალობლიშვილი, დ. იმნაშვილი, ს. შანშიაშვილი, ა. ჭუმბაძე, ქ-ნი კაკაბაძის ასული, ნ ნაკაშიძისა, რ. ბებიაშვილი; დეკ. ან თოთიბაძე, ივ. ზედგინიძე, იოს. იმედაშვილი (არ გამოცხადდენ ვ. გუნია, კ. ერისთავი და ს. გოგოლაშვილი).

კრება დაიწყო 4 მაისს, საღ. $9^1/_2$ ს. სოფ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით. ბიუროს მდივნად მიწვეულ იქნა ჩ. კაპანაძე

პირველად წამოყენებულ იქნა საკითხი, როგორ ამცნონ ქართულ დაწესებულებებს და საზოგადოებებს, რომლებიც ქ. თბილისს გარედ იმყოფებიან, ირ. ევდოშვილის გარდაცვალება და დაკრძალვის დრო. კრებამ დაადგინა გაიგზავნოს დეპეშები: მოსკოვსა, პეტროგრადსა, დონის როსტოვსა, კავკავსა, ბაქოსა და სოხუმში, შემდეგი შინაარსისა: გარდაიცვალა მგოსანი ირ. ევდოშვილი, დაკრძალვა რვაშია. ხოლო სხვა ადგილობრივ ქალაქებში საჭიროდ არ სცნეს დეპეშების გაგზავნა იმ მოსაზრებით, რომ გაზეთებით შეიტყობენო.

ბიურომ დაადგინა აგრეთვე, ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც განსვენებული ასვენია, ყოველ საღამოთი 7 საათზე, ეპისკოპოზის და მგალობელთა თანადასწრებით გარდახდილ იქნეს პანაშვიდები. მიწვეულ იქნება ჩხიკვაძის და მთ კ. ჩუბკერაშვილის გუნდები.

ქართველ საზოგადოების [illegible] მისაღებად მგოსნის [illegible] რომ გადადასწყვიტა შემდეგი შინაარსის მოწოდებით მიჰმართოს:

ქართველ საზოგადოებას!

(ირ. ევდოშვილის გარდაცვალების გამო)

გარდაიცვალა მგოსანი ირ. ევდოშვილი, რომელიც 25 წ. დაუღალავად ემსახურებოდა მშრომელ ერის გათვითცნობიერებას. . მთელი თავისი სიცოცხლე მრავალტანჯულმა მგოსანმა სამშობლოს მიუძღვნა და ერის კეთილდღეობით გასულდგმულებულმა საკმაო ნაშრომები დასტოვა. .

ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრების მიერ არჩეული ბიურო, ძვირფას მგოსნის ცხედარს დაკრძალავს დიდუბის პანთეონში, თანახმად ქ. შ. წ.-კ. გამგეობის დადგენილებისა.

დაკრძალვა დანიშნულია 8 მაისს. დაკრძალვის ხარჯები უნდა იკისროს ქართულმა დაწესებულებებმა. ხარჯებს მორჩენილი თანხა გადაეცემა მგოსნის უმწეოდ დარჩენილ ქვრივს და ოთხს მცირეწლოვან შვილს. გვირგვინები არ იქმნება შემოწირულება მიიღება ქარ. გაზეთების რედაქციებში და ბიუროს ხაზინადრის ივ. ნიკ. ზედგინიძის სახელზე: თბილისი, „მეურნეს" საზოგადოება, ძველი სემინარიის შენობა.

ალ. შანშიაშვილმა ორი წინადადება შეიტანა კრებაზე: 1) მგოსანი ირ. ევდოშვილი ყვავილებით შემკულ საკაცით უნდა წაასვენონ დიდუბის ეკლესიაში; 2) აეკრძალოს კერძო პირთ ირ. ევდოშვილის თხზულებათა გამოცემა, რათა უნუგეშოდ დატოვებულ ეროდიონის ქვრივს ცხოვრების სალსარი არ შეუმცირონ: წიგნები თუ სურათები დაობლებულ იროდიონის ცოლშვილის სასარგებლოდ უნდა გაიყიდოს.

ეს ორი საკითხი განხილულ იქნება. ბიურომ დაადგინა 100 მან. ეხლავე გადასცეს ევდოშვილის ქვრივს.

ბიუროს კრებები მოხდება „ნაკადულის" რედაქციაში. კრება გათავდა ღამის $10^1/_2$ ს.

ბიურო მოუწოდებს დკრძალვის წესრიგში მონაწილეობის მიღების მსურველთ, მობრძანდენ და ჩაეწერნენ „ნაკადულის" რედაქციაში.

(საქ.)

### იროდიონ ევდოშვილის ხსოვნას.

მრავალტანჯულ ქვეყანას, საუკეთესო
შვილები დღითი-დღე ხელიდან ეცლება.
სიკვდილმა რომ შებრალება არ იცის,

## ქართველთა დამოკიდებულება ევროპასთან

(ისტორიული ცნობები.)

საქართველო ევროპას დაუახლოვდა XII საუკ. დავით აღმაშენებლის დროს, რომელსაც რომის პაპმა მისიონერები გამოუგზავნა საქართველოში. მისიონერებმა რამდენსამე ხანს დაჰყვეს ჩვენს ქვეყანაში და შემდეგ, დავით აღმაშენებლის მფარველობით, იგინი ჰაისტანში გადავიდენ, სადაც პირველად კათოლიკობის ქადაგებას შეუდგენ. ჰაოსიანთ (სომეხ) დაკავშირება კათოლიკობასთან ამ დროს მიეწერება. ამის ცნობა 1850 წ. კიევის რუსულ სასულიერო ჟურნალშიაც კი დაიბეჭდა.

XIII საუკ. დამდეგიდან რომის პაპებთან მიწერ-მოწერა დაიწყო რუსუდან დედოფალმა. რუსუდან დედოფალს ჰონორი მესამემ და გრიგორ IX-ემ ბევრჯერ თავისი ლოცვა-კურთხევაც მოსწერეს და მისიონერებიც გამოუგზავნეს. ჯვაროსანთა ომში ქართველებმაც დიდი მონაწილეობა მიიღეს. განსაკუთრებით ამ ომში თავი ისახელეს ქართველმა მთიელებმა, რომელთაც მამაცობისათვის ნაკურთხი ჯვარი ებოძათ, რომელი ჯვარიც ტანისამოსზე უნდა დაეკერებიათ, აი, სწორეთ ამით აიხსნება, რომ დღესაც ხევსურებში მტკიცედ დაცულია ჯვრის დაკერება ტანისამოსზე.

ჯვაროსანთა ომში ქართველების მონაწილეობამ ხელი შეუწყო ქართველი ერის დაახლოებას ევროპიელებთან. მათ შორის მეგობრობის განმტკიცებას ხელს უშლიდა ბიზანტიის იმპერიის დაცემა 1451 წ., რადგანაც ოსმალნი ქართველებს გზას უკრავდენ ევროპაში სამგზავროდ. ოსმალონი კარგათ გრძნობდენ, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ქართველების დაახლოებას ევროპიელებთან და ამიტომაც ყოველ გვარათ სცდილობდენ ევროპისკენ გზის შეკვრას და საქართველოს დაპყრობას.

რუსები ქართველებმა კარგად გაიცნეს XII საუკ. შემდეგ, როცა თამარ მეფე ანდრია ბოლოლუბსკის შვილზე გათხოვდა. ამის შემდეგ ქართველებმა 1491 წელში დაიწყეს მიწერ-მოწერა, კაცების გაგზავნ-გამოგზავნა და დახმარების თხოვნა. შემდეგ დროს, ანუ 1801 წ. და 1810 წ. საქართველო ხომ სრულიად შეუერთდა რუსეთის სახელმწიფოს. აქვე მოვიყვანთ ცნობას, თუ რომელ სახელმწიფოს, რომელ საუკუნეში მიმართეს ქართველებმა:

იტალიას ქართველებმა მიმართეს XIII საუკ., როცა მათ რომის პაპებს დაუწყეს მიწერ-მოწერა. პოლონეთს—XVI საუკ. და ამის შემდეგ ქართველთა ცნობა პოლონეთში XVIII საუკ არ შეწყვეტილა; საფრანგეთს—XVIII საუკ. დამდეგიდან; ესპანიას—XVII საუკ ნახევრიდამ; პრუსიას—XVIII საუკ. ნახევრიდამ; ავსტრიის იმპერატორს—XVIII საუკ. ნახევრიდამ; ინგლისს—1770 წ. აკადემიკოსის გულდენ შტეტის მოგზაურობის შემდეგ; ვენეციის რესპუბლიკას—1780 წ.

ქართ. სხვა სახელმწიფოებთანაც ჰქონდათ მიწერმოწერა ხოლო ჩვენ მათი ცნობები არა გვაქვს, ამიტომ აქ მარტოდ ესენი მოვიყვანეთ. ქართველი ერის ევროპის ერთან მიმართვის მიზეზები ბევრნაირია. ამის ახსნას აქ მოკლეთ შევეხებით.

ისლამის გაძლიერების შემდეგ, მუსულმანებმა მთელ აღმოსავლეთში მცხოვრებ ერების ისლამთან დაკავშირება განიზრახეს ამ მიზნის განსახორციელებლათ, მათ ბევრი მოდგმა აიოხრეს, გარდა ქართველი ერისა, რომლის შემუსვრაც მათ ვერ შესძლეს.

მართალია, სამცხე-საათაბაგო 1580 წ. დაიმორჩილეს, ხოლო 1627 წ. სრულიად დაიმონეს და ათაბაგობაც მოსპეს, რის შემდეგაც 1635 წ ქართველებს ისლამთან დაკავშირებაც დაუწყეს, მაგრამ სრულიად საქართველოს დამორჩილებას, ქართველთა მეფობის მოსპობას კი ვერ ახერხებდენ. ოსმალეთმა, რომელმაც დაამხო 15 მდე სამეფო ვერ დაამხო საქართველო. ქართველი ერის საქმე ისე მოეწყო XV საუკ. შემდეგ, რომ საქართველოში, ქართველთ შორის, ქუდზედ კაცის ძახილის მეტი არა ისმოდარა; ქართველები სულ მუდამ მზად იყვნენ მტერთან საბრძოლად.

სპარს-ოსმალთ ძალიან სურდათ საქართველო ისლამს დაკავშირებოდა; სჯულის გამოცვლით უნდოდათ ქართველთა მეფობა მოესპოთ უამისობა მათგან არ შეიძლებოდა, ვინაიდგან, თუ საქართველოს სამეფო დაურღვევლად დარჩებოდა, მაშინ იგი ქრისტიანობას შეინარჩუნებდა და ეს კიდევ ხელს შეუწყობდა კავშირი ქონებოდათ ევროპიელებთან და ნამეტურ რუსებთან. ამიტომაც VXII საუკ. დამდეგიდამ, ოსმალ-სპარსნი, შირვანელნი და სხვანიც შეერთდენ ერთად და მათ საბოლაოდ გადაწყვიტეს ქართველი ერის მოსპობა.

ამ განზრახვის შესასრულებლათ მუსულმანებმა შემდეგი გეგმა შეიმუშავეს: კახეთი და ქართლი უნდა დაეპყრა სპარსეთს, და თუ აქ ქართველობა ისლამს არ იწამებდა, მაშინ კახელები სპარსეთში უნდა გადაესახლებიათ. ქართლელები კი ამოეწყვიტათ და ამით დაესრულებიათ საქმე. იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და გურია ოსმალეთს უნდა დაეპყრა და მასთან ცდილიყო ისლამთან მათ დაკავშირებას, ან სრულიად მოსპობას, გაწყვეტას ზემო ქართლის შესახებ კი მათ ფიქრი არ ჰქონდათ რადგანაც იგი 1580 უკვე მოხარკეთ გახადეს და შემდეგ ხომ 1627 წ. დაიმონეს, ხოლო 1635 წ. ისლამსაც დაუკავშირეს.

მუსულმანთა გადაწყვეტილება ქართველებმაც კარგად იცოდენ, ესენი გაცეცხლებული იყვნენ ამაზე და ამიტომ ისევ გაწყვეტას რჩეობდენ, ვიდრე მუსულმანთა მონობას და ისლამის მიღებას. ქართველები ხშირათ უპასუხებდენ ხოლმე სპარს-ოსმალთ, XVI საუკუნის შემდეგიდამ: „ჩვენ აღვიარებთ ოსმალ-სპარსთა ფლობას, გაძლევთ ხარკს, ვართ თქვენი ერთგულნი, სხვა ჩვენ შეწუხებას თავი გაანებეთო", მაგალითად, სჯულის გამოცვლას ქართული ენისა და წიგნის დავიწყებას, რაზეც ყოველთვის უარს ეუბნებოდენ მუსულმანები ქართველებს.

რაკი საქართველო ოსმალ სპარსთა სრულიად ვერ დაიმორჩილეს და რაკი ვერც ისლამი მიაღებინეს ყველას საერთოდ, ამცნეს ქართველებს, რომ ქართლისა და კახეთის მეფენი დამტკიცებული არ იქნებოდენ, ვიდრე იგინი შაჰის ისლამს არ მიიღებენო. ამის ხანა იწყება XV საუკ. დამდეგიდამ. ასევე უნდა მოქცეულიყვნენ იმერთა მეფენიცა და მთავრებიც, რომელთაც ფიცი უნდა მიეღოთ ხონთქრის წესით და ერთგულება გამოეცხადებიათ მისთვის, წინაარმდეგ შემთხვევაში ხონთქარი მათ მეფედ ან მთავრად არ დაამტკიცებდა. ქართლისა, კახეთისა და იმერეთის მეფენი მუსულმანურის წესით უნდა გამეფებულიყვნენ. ოსმალ-სპარსთა ბრძანებით, ქართველი მეფენი ერთ დროს ასეთ ბეჭედს ხმარობდენ წარწერით: „მონა ღვთისა, ფეხთა მტვერი ცათა სწორის ყაენისა-მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი" ოსმალეთმა იმერთა მეფეს ასეთი სახელის ტარების ბრძანება მისცა:

„მონა ღვთისა, ყმა ხონთქრისა, მეფე იმერეთისა" ასე დამცირება ქართველებს და ნუ „ვალი გურჯისტანის" წოდება დიდათა ემძიმებოდათ, სწყინდათ, ვერ ითმენდენ, მაგრამ რას იზამდენ, როცა ერთ კაცზე ასი ოსმალო მოდიოდა და ქართველთაგან აუარებელი სისხლიც იღვრიდა. ერია ზოგიერთი ისეთი ქართველიც, რომელიც ასეთ რჩევას იძლეოდა: მივიღოთ ისლამი, ვადიდოთ მუჰამედი, თუ ამით გადავრჩებით გაწყვეტას, სამეფოს დამხობას, ქართველობის შერჩენას; სჯული სჯულია, ამით ზარალი არა იქნება რამე!

ასეთის აზრის ხშირად თვით სასულიერო პირნი და მღვდელმთავრებიც კი იყვნენ. ასეთი იყო გონიერი მეფე როსტომი, მუსულმანობაში ხოსრო მირზა, კაცი გონიერი და ცნობილი, დაუთ ხანი, შარიფ ზადეს „ქარაბადინის" მთარგმნელი, დავით იმამ-ყული ხანი, საქართველოს ისტორიაში ყველა ეს მეფენი დიდათ იქებიან, შაჰ ნავაზი, ნაზარ ალიხანი, ირაკლი I ჰუსეინ ყული ხანი, ვახტანგ მეექვსე და ბევრიც სხვა. მღვდელმთავრებში: ევთიმე ეპისკოპოსი, რომელმაც სპარსეთში ისლამი აღიარა, და დომენტი კათოლიკოზი ორივე მწიგნობარი იყო. სხვებს ჩვენ არ ვასახელებთ. დომენტი კათალიკოსმა ისლამისა და ცოლის შერთვაც კი ისურვა, თუ კი მას მეფედ დაამტკიცებდენ.

ასეთ პირებში მართლაც ხშირად იყვნენ ისეთი ენერგიული პირნიც, რომელნიც ისლამის მიღებით საქართველოს ერს დიდათ შველოდენ, იფარავდენ აუარებელი სისხლის ღვრისაგან, ქვეყანასა და ერსაც მშვიდობას ანიჭებდენ. შეიძლება თამამად ითქვას, მართლაც, რომ ქართველები ისლამს დაკავშირებოდენ მთელს საქართველოს ერს ისლამი ეღიარებინა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს დღესავით ნათელია, მაგრამ სიკვილი სიკვდილისაგან გაირჩევა. ისე ი ადამიანების სიკვდილი, როგორიც ვენმა პატარა სამშობლომ, დიდებული კაკის გარდაცვალებიდან განიცადა, დიდ რებსაც ჩააგდებდა საგონებელში, არა თუ ვენისთანა პატარა ერს დაამარებდა. ღონით უძლური, მაგრამ სულით დიდებული და ძლიერი ჩვენი ერი, ათასგვარ ჭირ-ვარამში გამობრძმენდილი რაინდულად გაუმკლავდა მოვლენილ უბედურებას. საქართველოს მნათობების: ილიას, აკაკისა და ვაჟას ხორციელად საუკუნოდ განშორებას შეგნებული ქართველობა ჩვენი უსაყვარლესი მგოსნის იროდიონ ევდოშვილის მუზით იქარვებდა და დღეს, მუხთალმა ბედმა ხელიდან გამოგვაცალა იროდიონი, რომელსაც მთელი თავის ძალ ღონით უყვარდა ტურფა და კეკლუცი თავის სამშობლო საქართველო. ამ სიყვარულმა ბევრი მწარე შხამი ასვა მას.

დიდებულო მგოსანო, შენი აღსასრულის დღე ბრწყინვალე თამარის დღესასწაულის დღეს ხვდა და ეს კი მისი თავდებია, რომ შენ ჩვენთვის ისევე არა ხარ მკვდარი. როგორც თამარ ბრწყინვალე და მშვენიერი.

განისვენე ტკბილად, ჩვენო საყვარელო მგოსანო.

მ. ბუაჩიძე.

## მწარე გაკვეთილი.

„წამხდარსა საქმეს რას არგებს გვიანღა თითზე კბენანიო“, უთქვამთ ცხოვრებაზე დაკვირვებულ ადამიანებს და ჩვენც ყოველთვის ასე ვამბობთ, როცა რთული და დიდი საკითხი გვიდგება თვალწინ ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირისა ამ მხრივ პირველი თქმა არ ეკუთვნის ბ. კედიას (საქართველო 91 ნომერი), ეს ჩვეულებრივი სიტყვაა და მოთქმა, „სამშობლო იღუპება“, რომ ვამბობთ; იქნებ სამშობლო არც დაიღუპოს ჩვენი მამულ-დედული თუ დღემდე შევინარჩუნეთ, ვეჭვობ, აწი ვინმემ წაგვართვას იგი. ამას მრავალთა საწინააღმდეგოთ ვიტყვი, რომ არც გადაგვარებულნი უწყობენ ხელს, როგორც ეს ვხვენებათ, მაგრამ ჩვენი ავლა-დიდება სიმდიდრე, რომ სხვათა ჯიბისა და სამშობლოს ასაყვავებელი შეიქნა, ეს კი ეჭვს გარეშეა. ამ მხრივ სამართლიანი შენიშვნა ბ. კედიას წერილი; ის სამართლიანათ უბედურებს ქართველ საზოგადოებას ამ ან მასას და მრეწველთა იმ მცირე წრესაც, რომელთაც, მსოფლიო ალებ-მიცემობაში და ჩვენი მდიდარი ქვეყნის სამრეწველო დარგებში, დიდი არა შეუტანიათ რა კარგათ დაკვირვებული მკითხველი და მცოდნე ჩვენი საზოგადოებრივი სიდუხჭირისა, გრძნობს, თუ რამ წარმოშვა ეს მიზეზები. მოკლეთ ჩამორჩენამ; დროზე

მოუმზადებლობამ მფლანგველობამ, მიუხედავათ ჩვენი სიღარიბისა და ამ დროს სხვისი ფულების სიყვარულმა, იმ დროს, როცა ჩვენი მრეწველებისათვის კომერციული უცოდინარობის გამო დაკეტილი იყო ბაზრის კარები სხვადასხვა მუქთა ხორა მაკლერის გასასუქებლათ და სხვა.

შავი ქვის წარმოება მუდამ ერთნაირი არ არის: ხანგამოშვებით ხდება „კრიზისი“ და ეს კი მრეწველობაზე მიჯაჭულ მემამულეთ და თვით მრეწველიც ხელიდან აცლის ამ სიმდიდრეს. ასეთ ხანებშია სწორეთ ჭიათურის წარმოებაში სხვათა გაბატონება. ამის წინააღმდეგ არა ერთხელ დავფიქრებულვართ და პრაქტიკული ნაბიჯიც კი გადავდგით საწინააღმდეგოთ. (მაგ. ამხანაგობა „შავი ქვა“, „ბიურო“ და კიდევ სხვა), მაგრამ ვისაც მივენდვეთ შესაჭმელათ მოგვინდომა, ან ჩვენვე ვერ მოუარეთ (ასეთი ბედი ეწია „შავი-ქვის“ ამხანაგობას.) და ადგილობრივ სანდო პირებთან, ერთად, რომლებიც შემდეგ „გაგვიაფერისტდენ“, მათმა მონახულმა „მყიდველ-მაკლერებმა“ სიკვდილის კარამდი მიგვიყვანეს: დავაარსეთ ბანკიც, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებდით, მაგრამ ისეთ პირებს ჩაუარდათ მისი ბედი ხელში, რომ, თითქმის დაარსების დღიდანვე, მას არა გაუკეთებია რა და სიმშილს განიცდის. ისინი კი, ვინც იძახოდა სამშობლო იღუპება და დაცვა უნდაო, თურმე სხვებს უშლიდენ გაყიდვას, რადგან თვითონ ჩუმათ სცდილობდენ მის გაყიდვას. ამ მხრივ სამაგალითოდ შეასრულეს თავიანთი მისია ჩვენ საზოგადოებაში კარგათ ცნობილმა პირებმა, ზოგ მათგანს კარგა ხანია რაც თავიანთი თავი საზოგადოებრივ მოღვაწეთაც მოაქვს, მაგრამ მზათ კი არიან რაც დარჩათ, ისიც ჩუმათ გაყიდონ, ხოლო, როცა აქ შემოელევათ სალუკმე, ასევე ჩუმათ შეუდგებიან სხვა ჩვენი ქვეყნის ნაწილების გაყიდვასაც.

დიახ, ეს საზოგადოებაში კარგათ ცნობილი პირები გახლავთ, რომ სდარაჯობენ ადგილობრივ მემამულე მრეწველთ მათ გაჭირვების დროს და დახმარების მაგივრათ აწვდიან თითო ოროლა გროშს ტკბილ სიტყვებს, იძენენ მათგან გაყიდვის უფლებას და მერე დაძრწიან დაეძებენ მყიდველებს. ამნაირათ ის გარეშე ამათი მაცადინობით შემოყვანილნი მყიდველნი, ახლა სრული ბატონ პატრონი გახდენ ჭიათურისა, ეს მოხდა სულ ამ რამდენიმე წლების განმავლობაში და სამწუხარო ისაა, რომ ჩვენმა მრეწველებმა და მემამულეებმა უფრო უარეს გაჭირვების დროს შეინარჩუნეს ეს სიმდიდრე— შავი ქვა და გაყიდეს—კი იმ დროს ამ ძალათ მაცხონე ვაჭრატონების მეოხებით, როცა შავი ქვის მოთხოვნილებამ უმაღლეს წერტილამდი მიაღწია და მსოფლიო ბაზარზე უმისობა—უპურობა—უჰაერობას უდრის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა და სხვა მრავალმა მიზეზმაც, რომელიც არა ერთხელ აღნუსხულა ჩვენს პრესაში, ასე ცუდი ნაყოფი მოუტანა ჩვენს ერთად ერთს სიმდიდრეს, რომ საქმის გამოწყობა—გამოსწორება ახლად შესაძლებელი იყოს, კიდევ გამოიყიდდა კაცი წარსულ ცოდვებს, მაგრამ ამ მხრივ ახლაც მოუმზადებელია ჩვენი საზოგადოება, ხოლო მემამულე და მრეწველნი ვინც კი დარჩენ,—კვლავ ღარიბნი არიან!

როგორც მკითხველი ხედავს საზღვარგარეთელ კაპიტალისტებს არ უომნიათ შავი-ქვის და სხვათა ხელში ძალით ჩასაგდებათ, არამედ იმათ ჩვენზე ადრე აუღეს ალებ-მიცემობის საკითხს ალღო, ამას თანავე კაპიტალითაც გაბატონებულებმა ადვილათ შესძლეს ჩვენს გამყიდველთა წყალობით, ამის მოგვარება და აკი ასეც მოხდა.

საყვედური საითკენაცაა მიმართული—ეს აშკარაა, ამაზე ბევრჯერაც მიგვითითებია, მაგრამ ამან ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა ჭიათურის მრეწველობას და ახლა, როცა დადგა საკითხი წარსულ შეცდომათა გამოსასყიდათ ახლაც სრული უძლურნი ვრჩებით და ვფიქრობ: ვაი, თუ უკვე არსებულ ფირმებზე უარესსაც ჩაუვარდეს ხელში ეს აუარებელი სიმდიდრე და საუკეთესოთ დაყენებული საქმე იმ შემთხვევაში, თუკი გამართლდა ლიკვიდაციის საკითხი, რადგანაც ჩვენ აქაც უძლურნი ვრჩებით, როგორც გამოყიდვის, ისე მოიჯარადრობის საკითხში და უკანასკნელი, რომ შევსძლოთ კიდეც, შეიძლება არც მთავრობამ ისურვოს.

ამ საკითხის მოგვარება მრეწველთა საბჭოს მოვალეობაა, მაგრამ ისიც ხომ დღეს „კრიზისს“ განიცდის და რომ სათადარიგო თანხა შეექმნა ასეთ და სხვა შემთხვევებისათვის, ამაზე არასოდეს არ უზრუნვია მრეწველთა ორგანოს.

ა. ხაბულიანი

# დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

**4 მაისი.**

**ინგლისის ასპარეზი.**

**ლონდონი.** ინგლისის ცნობა გუშინ ღამით შესანიშნავი არა მომხდარა რა. ებიუტერნის სამხრეთით, მტრის სამი რაზმი შეეცადა ჩვენი თხრილების დაჭერას. ორი მათგანი უკუვაქციეთ, მესამემ კი რამდენიმე წუთით დაიჭირა ჩვენი თხრილები. ლანკაშირის მსროლელთ მტრის მოწინავე თხრილები დაიჭირეს და მტერს საკმაო ზიანიც მიაყენეს. ჩვენმა არტილერიამ გაჰფანტა მტრის მზვერავები, რომელნიც ველტეს ახლოს გვზვერავდენ გუშინ მოქმედობდა არტილერია.

## ევდოშვილის კუბოსთან

მინდა ვიტირო, მაგრამ ცრემლი როგორ დავღვარო,
როცა თვით შენი სატრფო—ჩანგი კვნესის, ქვითინებს?
არა, ცრემლებით არ გიტირებ ძმა მეგობარო,
თორემ ეს გული, ქვეყნის ნაღველს ამოიტირებს!

შენ, მშობელ ერის უანგარო მსხვერპლად იწვოდი,
ქვეყნის ვაება-მწუხარებით გულ-დათუთქული,
ზეციურ ხმათა, თაფლ-სამსალათ აღმოიტყოდი,
ოცნების მეფე, სიყვარულის კილო-ბულბული.

იტანჯებოდი, მაგრამ ტანჯვა ვერ გაშინებდა,
ოღონდ სამშობლოს, შენს საუნჯეს, რამე რგებოდა,
შენი ნაღარა, შრომის გმირებს შეჰყიჟინებდა
და თითქოს მუზაც, საომრადა ემზადებოდა.

შენ მხნედ იდექი მოწინავეთ პირველ წყებაში,
თავისუფლების წმინდა დროშა მედგრად გეჭირა
და დაილიე სიყვარულის, ბედის ძებნაში,—
შენი არსება, შენს საყვარელ ერს შეეწირა!

აწ რაღა უნდათ, რა აწუხებთ შენს მტერ-მოყვარეთ,
როცა სიკვდილმა დაგიკრიბა უკვე ხელები?
—მოდით გულ ძვირნო, სასოებით მუხლთ მოიყარეთ
და მგოსნის კუბოს დააფრქვიეთ თქვენი ცრემლები!

მაგრამ შორს მისგან!—სიცოცხლეში შიმშილით ჰკლავდით,
როცა ის გრძნობა აგზნებული თქვენთვის მღეროდა,
ერის სიმდიდრეს, უბედურნო, ოხრათა ნთქავდით
და ერის მგოსანს, უნუგეშოდ სული ჰხდებოდა!

მოდით, დახედეთ აბა იმის მილეულ მკლავებს,
ლუკმის ძებნაში რაოდენი ტანჯვა უნახავს!
ესრედ ყოფაში თავის ყოფნას რისთვის ათავებს,
ხალხის დიდებათ განგებასა ვინც დაუსახავს?!

მოჰკალით ხორცი, მაგრამ სული, ვით მოჩვენება,
ვით ტანჯვის სახე, თავს დაგფრინავთ და დაგტრიალებთ,
აღარ აღირსეთ სიცოცხლეში მას მოსვენება
და დღეს რა გინდათ, გლოვის ზარებს რად აწკრიალებთ?!

ფარისეველნო! ერის მგოსანს თუ აფასებდით,
გზას რად უხშობდით, რად უქმნიდით მას აღსასრულსა,
შურით, დაცინვით, ნაღველ-შხამით რომ აღავსებდით,
ოცნების ბულბულს, ზეცის შიკრიკს და მოციქულსა?

ვაი თქვენ, თორემ არ მომკვდარა სული ვნებული:
ცათა წიაღში ჰპოვა სფერო განახლებისა,
და საუკუნო სიყვარულით გაბრწყინვებული,
თავზე ადგია მას გვირგვინი უკვდავებისა!

ნ. ჩხიკვაძე.

**3 მაისი.**

**დასავლეთის ასპარეზზე.**

**პარიზი.** დღის ოფიციალი ცნობა. მაასის მარცხენა ნაპირზე, არტილერია მოქმედობს ავოკურთან და „304“ მაღლობთან, მაასის მარჯვენა ნაპირზე, ტიომონის ფერმის ჩრდილო-დასავლეთით მტრის იერიშემბა უშედეგოდ ჩაიარა ვევრში ეკსმულენვილის უბანში, საარტილერიო სროლაა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ღამემ სიწყნარით ჩაიარა.

**პარიზი.** საღამოს ოფიციალი ცნობა. შამპანებში მტრის ერთი რაზმი მენილის გორაკთან ხელით სასროლ ყუმბარებით მოვიგერიეთ. არგონებში, ფურ-დე-პარის მიდამოებში, საარტილერიო ბრძოლაა. მდ. მაასის მარცხენა კიდეზე ძლიერი საარტილერიო ცეცხლია გაჩაღებული ავოკურის ტყის, მე „304“ მაღლობის და მორჰტომის მიდამოებში. მტრის იერიში მე-„304 მაღლობის დასავლეთით, არტილერიის ცეცხლით შევაჩერეთ. მდ. მაასის აღმოსავლეთით, ვევრში საარტილერიო ცეცხლი ხამუშ ხამუშ ქარიშხალისებურ ხასიათს ღებულობს. ბრძოლის დანარჩენ ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

**ბელგიის ასპარეზი.**

**ჰავრი.** ბელგიის ოფიციალი ცნობა. დღეს ბელგიის ჯარის ბრძოლის ხაზზე გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა ჩვენ ყუმბარები დაუშინეთ მტრის სიმაგრეებს იზერის აღმოსავლეთით კიდესთან და დქსმიუდეს გარშემო სენ-ჟაკორჟის აღმოსავლეთით—ერთს ადგილს ორივე მოპირდაპირე მედგრად ისროდა ზარბაზნებს.

## ერობა ჩვენში.

30 აპრილი

თავჯდომარე მოახსენებს კრებას სექციის მუშაობის ჟურნალს, რომელიც უნდა წაეკითხოს საერთო კრებას.

ყაზახიშვილი მოითხოვს რომ სოხუმის ოლქის შესახებ სექციას კატეგორიული გადაწყვეტილება არ გამოუტანია და ამიტომ საჭიროა, სოხუმის ოლქის საკითხის განსახილველად კომისია იქნეს ამორჩეული.

თავჯდომარე აცხადებს პირველი სექციის მუშაობას დამთავრებულად. სექციის ნამუშევარს განიხილავს სამშაბათის საერთო კრება.

კრება მადლობას ეუბნება თავჯდომარეს კრების სასურველ და ნაყოფიერ ხელმძღვანელობისათვის.

II. სექცია. კრება იხსნება საღამოს 8 საათზედ თავჯდომარეობს თავ. დ. დ. ნიჟარაძე და შემდეგ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. სექციამ წინანდელ კრებაზე მიიღო საარჩევნო ცენზად მიწის და დაფასებითი ცენზი, როგორც ეს არის დაწესებული 1890 წ. კანონში და გადავიდა საარჩევნო კურიების საკითხის განხილვაზედ

თავ ი. გ. აფაქიძე ჩვენ მივიღეთ უმთავრესი დებულებანი 1890 წ კანონის. რუსეთის ერობაში კი დაწესებული კურიები, სააზნაურო, საერთო მიწის მფლობლები და საგლეხო შეადგენს სწორედ უმთავრეს საფუძველს და საძირკველს 1890 წ. კანონს, ცხადია რომ ჩვენ ეს კურიებიც უნდა მივიღოთ.

ფ. გოგიჩაშვილი აცნობს კრებას მიწათმფლობელობის რიცხვს და მათ დანაწილებას თბილისის გუბერნიის სხვადასხვა მაზრებში.

ბ კანდელაკი კურიების დაარსების წინააღმდეგია მას მოჰყავს ცნობები, რომ რუსეთის ერობებში, თუ სამაზრო ერთეულებში, აზნაურობა უმრავლესობას შეადგენს, გუბერნიის ერობაში კიდევ უფრო მატულობს მოწინავე წოდების ძალაო.

ტერ-მიქელიანცი კურიების წინააღმდეგია და მოითხოვს არა წოდებრივ ერობას.

თავ. გ. აბაშიძე ეხება თბილისის გუბერნიისთვის დაწესებულს საარჩევნო ცენზს და ამბობს, რომ ასეთს პირობებში მომხსენებელის ანგარიშით მხოლოდ 13 პროც. მეპატრონეთა მიიღებს პირდაპირ მონაწილეობას არჩევნებში. ორატორის აზრით საჭიროა, რომ ყველას ჰქონდეს საარჩევნო ხმა, ვინც კი რაიმე საერობო გადასახადს იხდის. ორატორი კურიების წინააღმდეგია

იოსელიანი. ამტკიცებს, რომ კურიების დაწესება არ არის მიუცილებელი საჭიროება.

ს. მდივანი. იმ აზრისაა, რომ ერობაში. მონაწილეობის მიღება ყველას უნდა ჰქონდეს და კურიების დაწესება, როგორც ეს 1890 წ. კანონშია, უკანონო და ჩვენთვის მიუღებელი არისო.

თავ. ნ. თავდგირიძე ამტკიცებს, რომ ყველას, ვინც კი აქომამდე 1890 წ კანონის საფუძვლებს ღებულობდა უნდა სცოდნოდა, რომ ეს კანონი წოდებრივობაზედ არის აშენებული და არა საყოველთაო საარჩევნო უფლებებზედ. ჩვენ საყვედურის და დაწუნების არ უნდა ვეშინოდეს, როდესაც ჩვენის რწმენით იმას

მაშინ იქნება საქართველოს ერთი სამეფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ არ გაყოფილიყო, არც ქართველთა გადასახლება დაწყებულიყო, არც საქართველოს განადგურება მომხდარიყო და ქართველი ტომი, ისლამიის წყალობით, უვნებლად გადარჩენილიყო.

ამას ჩვენ იმიტომ ვფიქრობთ, რადგანაც ოსმალ-სპარსთა დავალება სულ მუდამ ეს იყო,—მიიღეთ ისლამი და ჩვენ მის შემდეგ ხმასაც არ გაგცემთო ამისთვის დადალეს ქეთევან დედოფალი, დაახრჩვეს ლუარსაბ მეფე, დიმიტრი, გამოასაჭურისეს თეიმურაზ პირველის ორი შვილი ლევანი და არჩილი, რის შემდეგაც დაიხოცნენ კიდეც. ამის მაგალითი ბევრი იყო ჩვენს ისტორიაში. ქართველების გამუსულმანება, რომ მომხდარიყო, მაშინ არც შაჰაბაზი და მისი მსგავსები შემოვიდოდნენ საქართველოს ასაკლებათ.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა, არც მოხდებოდა, რადგანაც ქართველებს ამის სურვილი არ ჰქონდათ.

„ჩვენს მიწა მამულზე გავწყდებით, მოვისპობით, ვერც ისლამს მივიღებთ, ვერც მეფობას მოვსპობთ. და თუ ჩვენის ძალღონით არა გამოვიდა რა, მაშინ ევროპიელთ, ან რუსებს დავუკავშირდებით და ჩვენი მტრების სურვილს კი არ ავასრულებთო“.

ასე მკაცრად მიტომ იყვნენ ქართველნი, რადგანაც იგინი თავს დამცირებულათ სთვლიდენ. მთელი ჩვენი უბედურება, მთელი ჩვენი სისხლი, ცრემლი და გაწყვეტა-მოსპობა სულ სჯულის გამო იყო ატეხილი. ქართველი ერი ქრისტიანობის გულისთვის ეწამა, თვით ქრისტესავით. მე იმის განხილვაში არ შევალ თუ ქართველებს რა მოუვიდოდათ, რას იპოვიდნენ იმის შემდეგ, როცა ისინი ისლამს დაუკავშირდებოდენ, ვინ იცის, იქნებ კარგიც ყოფილიყო მათის ქვეყნისათვის და ავიც. ამაზედ ისევ ჩვენის ძველების აზროვნებით უნდა ვისაუბროთ.

ქართველები ოსმალ სპარსელებზე გაბრაზებულები იყვნენ ესენი მათ უმზერდენ, როგორც მტრებს, როგორც თავის გამანადგურებელთ. ქართველების გაბრაზება უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მე-17 საუკ. ოსმალთ სამცხე დაიპყრეს.

ამიტომ ქართველების თანაგრძნობა უფრო ევროპიისკენა და რუსეთისკენ იყო რუსეთსა და ევროპასთან დაკავშირებამიმართვაზე ჰქადაგებდენ არა მარტო სამღვდელოება, არამედ ერისკაცნიც ჩვენ ისტორიით ვიცით, რომ ქართველთ მეფენიც ამის მონატრენი იყვნენ, რასაც მოწმობს სხვადასხვა ცნობა და შემდეგი მოსაზრება ქართველ ერისა და მეფეებისა.

მუსულმანთა ხელში ჩვენ ვერ დავწინაურდებით, ბ რაცა გვაქვს ამასაც დავკარგავთო. ევროპიელნი ორჯერ მაღლა დგანან მუსულმანებზე, ამიტომ ჩვენც მათ ხელში ყოფნა გვირჩევნია, ვიდრე ისეთი ხალხის ხელში ჩავარდნა, სადაც სჯულსაც დავკარგავთ და ვერც სხვა საქმით წავალთ წინაო. ამ აზრის იყო ქართველების უმრავლესობა. ამიტომ ქართველებმა XV საუკუნის დამდეგიდამ მთელს ევროპაში კაცების გზავნა დაიწყეს და თხოვნა მფარველობისა და შველის შესახებ. ასეთ საქმეების სამზადისში პირველი ადგილი უნდა დაეთმოს კათოლიკის ბერებს. ესენი იყვნენ ქართველ მეფეთა დიპლომატები, დესპანნი, ელჩნი, მთარგმნელნი ფრანგულ, ლათინურ, იტალიურ და სხვა ენების, მასთან მასწავლებელნიც, რომელნიც ქართველ მეფეებს აცნობებდენ და ასწავლიდენ ევროპის საქრისტიანო სახელმწიფო ცხოვრების პირობებს, სჯულის, განათლების, სკოლების, ხელოსნობის, ვაჭრობისა და სხვათა შესახებ ცნობებს, რითაც ქართველთა მეფენი ყოველთვის აღფრთოვანებული რჩებოდენ. ევროპიელთ ისე უყურებდენ, როგორც სამაგალითო წმინდა ნასწავლთ, მოხერხებულ ხალხს

კათოლიკის მისიონერების ჩაგონებით, ყველა ქართველი მეფე მზათ იყო, რომ ევროპის რომელიმე საქრისტიანო სამეფოს დაკავშირებოდა და მით ეხსნა ქვეყანა და ხალხი მუსულმანთა დევნისაგან.

XVIII საუკ. ნახევარს, ქართლ-კახეთის შეერთების შემდეგ, ქართველთა შორის, უკვე ნათლად გაირკვა ის აზრი, რომ მათთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, ევროპის რომელიმე განათლებულ სახელმწიფოს დაკავშირებოდა. ეს გარემოება იმანაც გამოიწვია, რომ XVIII საუკ. ერეკლე მეორე კახეთში ქართულის წესით გამეფდა და ტახტზე ავიდა. მან უარჰყო მუსულმანურის წესით გამეფება, თავის ბეჭედზე „ფეხთა მტვერიც“ წაშალა და იწოდა მეფე ქართლისა და არა ვალი გურჯისტანისა. ერეკლე მეფის ასეთ სიმაგრეს და სიბეჯითეს პაატა ბატონიშვილიც აძლიერებდა და აცხოველებდა რომელიც მეფე ერეკლეს კარზე სცხოვრებდა. პაატა ევროპაში გაზრდილი იყო, ევროპიული განათლება ჰქონდა მიღებული, რამდენჯერმე იყო ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას, ესპანიას, ავსტრიას, და პრუსიას. ამიას რჩევაც მეფე ერეკლეს წინაშე სულ ეს იყო, ან ევროპას, ან რუსეთს დაუახლოვდით და დაუკავშირდითო.

ფ. ჯ

(შემდეგი იქნება.)

მოვითხოვთ, რის მიღება შეგვიძლია და რაც დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით დიდ ბედნიერებას წარმოადგენს

ვართანიანცი. ამტკიცებს, რომ მხოლოდ უწოდებრივო ერობა იქნება ნამდვილი ერობაო.

მ. ვ. მაჩაბელი. აღნიშნავს ქართველ თავად აზნაურობის მოღვაწეობას ამ ნახევარს საუკუნეში და ამბობს, რომ ჩვენ სრულებით არ უნდა გვაშინებდეს თუ ერობაში უმრავლესობას შეადგენს ის წოდება, რომელსაც არ ჰქონდა ერობა, მაგრამ საერობო მუშაობას ეწეოდა მრავალი ათეული წლიო- არა ერთი და ორი მილიონი დაახარჯა მან თავის მცირე სახსარიდან არა თავის პირად წოდებრივ საჭიროებებს, არამედ საერთო მოთხოვნილებებსო. ორატორი მომხრეა 1890 წ. კანონის კურიების.

ა. ტობჩიბაშევი. გამოსთქვამს აზრს, რომ აქ პირადი აზრის გამოთქმაზედ თუ იქმნა საქმე, ძვირად თუ ვინმე იქნება კურიების მომხრეო, ჩვენ ვღებულობთ იმას, რის მიღება შესაძლებელიაო.

გაიდაროვი. აღნიშნავს როგორც ქართველ ისე მუსულმანთა მოწინავე წოდების დიდს ღვაწლსა და მნიშვნელობას, მაგრამ მისი აზრით მაინც საჭიროა უწოდებრივო არჩევნები.

ტერენტიევი. ამბობს, რომ რუსეთის რამდენიმე გუბერნიაში კიდევაც არის არა წოდებრივი არჩევნებიო.

ფ. გოგიჩაიშვილი. მოახსენებს კრებას, რომ ის არა აზნაური — გამოდის საზნაურო კურიების დამცველად და მხოლოდ იმისთვის, რომ ორატორის რწმენით ამ გზით საერობო არჩევნებში მეტი ხალხი მიიღებს მონაწილეობას. საზნაურო კურიები არ არის იქ სადაც თავად-აზნაურობა არ არის, მაგრამ იქ არის ორი კურია — მსხვილ მეპატრონეთა და წვრილ მეპატრონეთათვის. მსხვილ მეპატრონეთ მაინც მინიჭებული აქვთ განსაზღვრული რიცხვი ხმოსნების. თბილისის გუბერნიაში, კურიები რომ არ იქმნეს შემოღებული, რაც ორატორს ძნელ წარმოსადგენად მიაჩნია დღევანდელს პირობებში, დაწესებული იქმნება ეს 2 კურია. მსხვილ მეპატრონეთათვის დიდი ცენზი იქმნება შემოღებული და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გუბერნიაში სამი წილი მიწის აზნაურობას ეკუთვნის, ეს ვურია იგივე საზნაურო იქმნება, მხოლოდ საერთოდ ცენზის სიდიდე არჩევნების გარედ დასტოვებს ბევრს ისეთს, ვისაც ბ. გოგიჩაიშვილის მიერ შემუშავებულ განაწილებითი ერობაში მონაწილეობა ექმნება.

კამათი დასრულდა და საკითხს კენჭს უყრიან. 43 ხმა ემხრობა საარჩევნო კურიებს თანახმად 1890 წ. კანონისა 19 ხმა წინააღმდეგია კრება მეორე დღისათვის გადაიდვა.

### 3 მაისის.

სამ მაისს საერობო თათბირის საერთო კრება გაიხსნა მეფის ნაცვლის თანაშემწის თავ. ვ. ნ. არლოვის თავმჯდომარეობით საღამოს 8 საათზე. პირველ სექციის თავმჯდომარემ თავ. კ. ნ. აფხაზმა წაიკითხა სექციის ჟურნალი, რომელიც წარმოადგენს სექციის მუშაობას და მათ დადგენილების საერთო მიმოხილვას.

ჟურნალში მოყვანილია ყველა საკითხებზედ მოსაზრებანი და რეზოლუციები, როგორც უმრავლესობის ისე უმცირესობისა. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას გამოსთქვან მოსაზრებანი პირველ საკითხზე, საერობო ერთეულების ტიპის შესახებ. უმრავლესობის და უმცირესობის მხრით არავინ ეწერება.

ვ. ვართანიანცი იცავს თავის მოსაზრებას რომ კავკასიაში უნდა იქნეს შემოღებული საგუბერნიო და წვრილი საერობო ერთეული და ასაბუთებს ამას ჩვენი მხარის განსაკუთრებული პირობებით და უმთავრესად ლაპარაკობს საკრედიტო ამხანაგობის ზრდით დაღესტანში.

თავმჯდომარე კენჭს უყრის პირველ კითხვას, უმცირესობის აზრს, რომ ნაცვლად გუბერნიის და მაზრისა საერობო ერთეული აშენდეს აგრონომიულ და სხვა რაიონებზედ. ემხრობა მხოლოდ 21 კაცი.

მ. ი. ბერზეროვი უკმაყოფილებას აცხადებს, რომ უმცირესობის მოსაზრებები არ წაუკითხავს კრებას და ამის გამო კრებისთვის უცნობია.

თავმჯდომარე კენჭს უყრის ვინ არის მომხრე იმისა, რომ კრებას მოხსენდეს უმცირესობის აზრი. (დგება 21 კაცი.)

დ. ი. ლუსინაკი მესამე საფინანსო სექციის თავმჯდომარე იძლევა ცნობებს თბილისის გუბერნიისა და მაზრების საერობო თანხის შესახებ. თიანეთის და დუშეთის მაზრას ექნება მხოლოდ დეფიციტი. საერთოდ გუბერნიას ექმნება სრულიად საკმაო თანხა. კენჭს უყრიან — ვინ არის მომხრე, რომ თბილისის გუბერნიაში შემოღებულ იქნას საგუბერნიო და სამაზრო ერობები. ყველა ამის მომხრეა.

ტერ მიკელიანცი აცხადებს — მე თავს ვიჭერო. კრება მსჯელობს ზაქათალის ოლქის შესახებ.

ტემირ-ხანი გამოსთქვამს აზრს, რომ ზაქათალის ოლქი ცალკე საგუბერნიო ერთეულად დარჩეს.

დ. ი. ლუსინაკი მოახსენებს კრებას საფინანსო სექციის — აზრს ზაქათალის ოლქს საკუთარი საგუბერნიო ერობისთვის საკმაო სახსარი აქვსო.

ვ. ვართანიანცი ამტკიცებს ზაქათალის მცხოვრებთ თბილისის გუბერნიის მცხოვრებლებთან არაფერი საერთო არ აქვთო და ამიტომ საჭიროა მისი გამოყოფაო.

თავ. დ. ქ. ჩოლოყაშვილი აღნიშნავს, რომ ამ ოლქს თბილისთან აერთებს მრავალი ცენტრალი დაწესებულებანი და ეკონომიურათ ხომ ეს ოლქი, განსაკუთრებით კახეთის რკინის გზის გაყვანის შემდეგ, თბილისის გუბერნიაზედ მჭიდროდ არის დაკავშირებული.

გ. ს. გამხარაშვილი ეხება ზაქათალის ოლქის უმთავრესად ეკონომიურ ვითარებას და ამტკიცებს, რომ ყველა ვინც ამ ოლქის გამოყოფაზე ლაპარაკობდა აქ და სექციაში ამ კუთხეს სრულებით არ იცნობენ ეკონომიურად ეს ოლქი მუდამ თბილისზედ ყოფილა დაკავშირებული და ამ კუთხის თბილისთან შეერთებით ის მხოლოდ მოიგებს ყოველ მხრივ, ვინაიდგან საერობო დეფიციტი აქვსო.

საკითხს კენჭს უყრიან და დიდი უმრავლესობით ღებულობენ ოლქის თბილისზედ შეერთებას საერობო საქმეში.

(შემდეგი იქნება)

## სხვადასხვა ამბები.

(ხარკოვის საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ საქართველოში აპირებს გამომგზავრებას ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ფ. ი. შმიდტი. ეხლა, ოფიციალურად აცნობა ხსენებულ პროფესორს სახალხო განათლების მინისტრმა, რომ სამინისტრო გზავნის მას კავკასიის ბრძოლის მახლობელ რაიონებში, რათა მან მიიღოს ზომები, რომ დაცულ იქნას ადგილობრივი სიძველენი, უძველესი ნაშთები. პროფესორი კავკასიის მეფის ნაცვლის ნებართვით ამ დღეებში გაემგზავრება საქართველოში ის დაათვალიერებს საქართველოს უძველეს ტაძრებსა და მონასტრებს. განსაკუთრებით მას აინტერესებს მცხეთა, და გელათი.

—

გაზეთ „Южный край“-ს საკუთარი კორესპონდენტები ატყობინებენ გაზეთს დეპეშებით შემდეგ ცნობებს:

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნატორებს, გრადონაჩალნიკებს, და ოლქების უფროსთ დაუგზავნა ცირკულიარი, რომ გერმანული ტექსტი საზღვარგარეთელ პასპორტებზე უნდა შეცვლილ იქნას ინგლისური ტექსტით. შესაფერისი ბლანკები უკვე იბეჭდება სახელმწიფო ქაღალდთა გამზადების ექსპედიციის მიერ

—

სახალხო მასწავლებელთა ჯამაგირის მომატება — სახალხო განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა: ის 7,540,000 მანეთი, რომელიც გადადებული იყო სახალხო მასწავლებელთათვის ჯამაგირის მოსამატებლათ დღევანდელ სიძვირის გამო, გაანაწილონ შემდეგნაირათ:

თვეში მასწავლებელს მოემატოს ჯამაგირი არა ხუთი მანეთი, როგორც იყო დღევანდლამდის, არამედ — თუმანი.

—

მთავრობამ განიხილა საკითხი გამოქცეულ ებრაელთა დასახლების შესახებ. ვინაიდგან ზოგი ქალაქები რუსეთისა მეტისმეტად გაივსო მტერის მიერ დაპყრობილ ქალაქებიდან გამოქცეულ ებრაელებით, ამიტომ ადგილობრივ საერობო ორგანიზაციებმა, ქალაქთა კავშირმა და ნაციონალურ კომიტეტებმა შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე, რათა გამოქცეულ ებრაელთ მიეცეს ნება მხოლოდ სოფლებში ცხოვრებისა, ვინაიდგან ქალაქები ისედაც სავსეა სხვა მცხოვრებთა გამოქცეულებით, მთავრობამ შეუძლებლათ სცნო ეხლავე სრულიად დაკმაყოფილება ამ შუამდგომლობის ამასთან ერთად მთავრობამ გამოსთქვა აზრი, რომ შესაძლებელია ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს ნაწილნაწილად.

—

ბაზელი. „ცუკრიშერ ცაიტუნგ“ ში მოთავსებულია სიმპატიური წერილი ვენიდან რომელიც ნათელს ფენს ავსტრიელთა უმაღლეს წრეების აზრებს. კორესპონდენციის ავტორი, როგორც ეტყობა კარგათ არის გაცნობილი ავსტრო-უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარულ მოქმედების შესახებ, და ამბობს, რომ ამ ახლო ხანში ბერლინში ბურიანის გამგზავრების მთავარი მიზანი იყო, გაეგო, თუ რა აზრი ტრიალებს ბერლინში შესახებ ზავის ჩამოგდებისა. წერილი თავდება ზავის ჩამოგდების ახალი პროექტით, თუ რა პირობებში შეიძლება ზავის შესახებ მოლაპარაკება. ამ პროექტში შემდეგი აზრია გატარებული. ვინაიდგან უნგრეთის პოლიტიკური წრეები ენერგიულათ ეწინააღმდეგებიან ავსტრიის ტერიტორიალურათ კიდევ გაფართოებას, ავსტრიელებს შეეძლო დათანხმებულიყვნენ სერბიის დასჯით სხვა სახით, და არა სერბიის დარჩენილ ტერიტორიის კიდევ შემოერთებით. ოსმალეთს, ვინაიდგან არა სასურველათ მიდის მათი საქმე, არ შეუძლია იქონიოს იმედი ხელსაყრელ ზავზე. ზომიერება გერმანიისა რუსეთთან, შესაძლოა შემარიგებელ ხიდათ დაედვას ორივე სახელმწიფოების შერიგებას, ზოგიერთ დაპყრობილ ტერიტორიის გაცვლა გამოცვლით. რაც შეეხება იტალიას, ავსტრიას შეეძლო დაეთმო ნაწილი ალბანეთისა და ტრიენტი.

—

რომი. — ოსმალეთი სცდილობს სეპარატიულ ზავის ჩამოგდებას ოთხთა შეთანხმებასთან.

აღდგომის მეოთხე დღეს საბერძნეთის ელჩმა რომში ინახულა იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჩამოაგდო საუბარი შასახებ იმისა, თუ როგორ შეხვდა იტალია საბერძნეთის შუამდგომლობას ოსმალეთის სახელით, შესახებ ოსმალეთის მიერ სეპარატიულ ზავის ჩამოგდებისა შეთანხმებულ სახელმწიფოებთან. მან აღიარა, რომ საბერძნეთის მთავრობას ჯერ ფორმალურათ არ გადაუწყვეტია თავს იდვას შუამდგომლობა ასეთი ზავის შესახებ, ეს მხოლოდ ოსმალეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს თხოვნით ნიადაგს აწყობს ამისთვის, და თუ ცოტათი, მაინც თანხმობით შეხვდა ოსმალეთის წინადადებას მასთან მეომარი სახელმწიფოები, მხოლოდ მაშინ საბერძნეთი ითავებს ამ საქმის მოგვარებას იტალეთის მინისტრმა უარყოფითი პასუხი მისცა საბერძნეთის ელჩს იმ მიზეზით, რომ პირველად ყოვლისა იტალეთი დავალებულათ არ არის იქონიოს მოლაპარაკება სეპარატიულ ზავის შესახებ თავის თავად, დაუკითხავად მოკავშირე სახელმწიფოებთან, და მეორე, ამის დრო ეხლა არ არის, ვინაიდგან უფრო დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთთან ზავის საკითხს მოკავშირეები კონსტანტინოპოლში უკარნახებენ.

### ხმები ზავზე.

**კოპენჰაგენი.** დანამდვილებით ამბობენ, რომ პაპა ბენედიქტე XV თავის წერილში ვილსონთან დაჟინებით მოითხოვს, რომ თავიდან აცილებულ იქნას განხეთქილება ამერიკასა და გერმანიას შორის. ბენედიქტე XV აუცილებელ საჭიროდ სცნობს, რომ მათ შორის მეგობრული განწყობილება არ იქნას დარღვეული. თავის წერილში პაპა სხვათა შორის ამბობს, რომ გერმანია მზათ არის ჩამოაგდოს ზავი, თუ ვაშინგტონის მთავრობა იკისრებს ჩადგეს შუაში, და შესძლებს დაარწმუნოს მოკავშირეები, რომ მათ წინადადება მისცენ გერმანიას ზავის ჩამოგდებაზე რასაც გერმანიის მთავრობა დაუყონებლივ მიიღებს.

—

**სტოკჰოლმი.** თ-დი ბიულოვი მოწვეულ იქნა მთავარ შენობაში (славная квартира), გამოსარკვევათ და საბაასოთ, ზავის ჩამოგდების შესახებ მოლაპარაკების გამართვისათვის. გერმანია მზათ არის ზავი ჩამოაგდოს შემდეგ პირობებში: სრული აღდგენა ბელგიის, და საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარე დაპყრობილ ადგილებისა კურლიანდიის და აგრეთვე პოლონეთის პოლიტიკურათ გარდაქმნის. გარდაქმნა პოლონეთის უნდა მოაწყოს მხოლოდ გერმანიამ და ავსტრო-უნგრეთმა სხვა სახელმწიფოების ჩაურევლად თავადი ბიულოვი გაემგზავრა ამერიკაში და სთხოვს ვილსონს, თავს იდვას და შეუდგეს წინასწარ მოლაპარაკებას ამის შესახებ 4 მაისს მინისტრი პ. ლ. ბარკი მიემგზავრება პარიზში, სადაც ინახულებს რიბოს, იქიდან ის წავა ლონდონს.

ინ. ჟანი.

## პასუხი პირველს.

(იხ. „სამშობლოს № 337 და 338*)

წინააღმდეგ ბ. პირველის ბრძანებისა, მე რომ სვანები საფუძვლიანათ გავამართლე უმაღლეს მთავრობასთან ამას დამიმოწმებენ არა მარტო ბ. გუბერნატორი და ლეჩხუმის მაზრის უფროსი, როგორც პირველ წერილებში იყო ნათქვამი, არამედ სვანეთის ყველა მამასახლისი, მოწმენი ჩემის საუბრისა ბ. გუბერნატორთან, და თვით ამ საქმის ნაყოფი და შედეგი, რომელიც მოყვა ჩემს მიერ მთავრობას დაარწმუნებს სვანების უდანაშაულობაში და დაკმაყოფილდენ სვანები ჩემი დაბრუნებით. მხოლოდ მართლაც რომ სვანები თავის უცოდინარობით მოღალატეთ არ ჩაეთვალა მთავრობას, დავბრუნდი სვანეთში და ჩემის მეცადინეობით მოკლე დროში ჩავიყვანე ქუთაისში არა მარტო უკანასკნელ მობილიზაციაზე გამოუმცხადებელნი პირნი, არამედ, ყველა ის მოღალატე და სათადარიგო ჯარის კაცი, რომელიც არ იყო გამოცხადებული წინა წლებში.

რაიც შეეხება წარჩინების მიღებას ამ საქმისთვის და ჯილდოს, მოვახსენებ ბ. პირველს, რომ პირველ ხარისხოვან სვანეთის საბოქაულო ნაწილიდან აღმანის საბოქაულო ნაწილში გადაყვანა ვინ არ იცის, რომ არ ვითარ წარჩინების მიღებას ჩემთვის არ ნიშნავს, მაგრამ თუ ეს ასე ვისურვე მხოლოდ იმიტომ, რომ თორმეტი წლის მოხსამურეს და სულის შემხუთავ ატმოსფერაში სამსახურმა და ცხოვრებამ თავი მომაბეზრა და ვარჩიე უფრო თავისუფალ ცხოვრებას მივსცემოდი

კიდევაც რომ ძალიან ვიყო ჯილდოს მამძებ ვარი ბ. პირველო, სად გაგონილა, რომ მობილიზაციის დროს ჯარის კაცთა გამოცხადებისათვის ჯილდო მიეღოს ბოქაულს მართალია. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექციამ გადასწყვიტა იმ ხანებში ჩემი „ჯილდოზედ“ წარდგენა ჩემს მეთვალყურეობითა და მეცადინეობით სვანეთში ექვსი ახალი სასწავლებლის შენობის აგებისათვის და აგრეთვე ლეჩხუმის მაზრის უფროსმა იმ „დატფარმის“ მიუდგომელ მთაზედ საცხენი გზის გაყვანისათვის, (რომლის უქონლობის გამო, წინათ, როგორც თვით ჩემი მოწინააღმდეგე პირველიც დამიმოწმებს, არა ერთი და ორი საბრალო სვანის მძიმე ტვირთ ქვეშ მყვნესარე ცხენი მსხვერპლი გამხდარა, ყოველ წლიურათ თავის ტვირთიანათ), ფულის საშუალებით 500—600 ქურდობის შემთხვევის გამოჩენისათვის და ამ ყოველ მხრივ სვანეთის ცხოვრების დამამახინჯებელ მოვლენის და ყაჩაღთა ბრბოს მოსპობისათვის. [illegible] პირველობ ში ბ. [illegible] რომ [illegible] და დაწყდა იმ მობ[illegible], [illegible] ნის აზრით, ამეების შექმნისათვის ჩემთვის რაიმე მეცადინეობა საჭირო იქნებოდა, რისი დამამტკიცებელი წერილობითი საბუთებიც მრავალია თუმცა უხერხულად მიმაჩნია ჩემი თავის ქება, მაგრამ საქებარია ჩემი მოღვაწეობა სვანეთში თუ დასაგმობია დეე თვით სვანეთის ხალხის სინიდისმა გაარჩიოს. მხოლოდ, ვინაიდან ბ. პ — ს არც იმ მრავალ წერილისა და წიგნაკებისთვის მიუქცევია ყურადღება, რომლებიც სვანეთისადმი ჩემს კეთილმოღვაწეობაზე არის მოთავსებული სხვადასხვა გაზეთში; არც ჩემ მიერ ბავშვობიდან, ვიდრე დღემდე, სვანეთის შესახებ სხვადასხვა გაზეთში დაწერილ წერილებისათვის, რომელიც, სხვათაშორის, ადასტურებს იმას, თუ რა ერთგული ვარ მე სვანეთისათვის ანუ ორგული,*) თუმცადა შეიძლება უმნიშვნელო და პატარა დადის თვის, რომელიც მე მოკლე ხნის განმავლობაში სვანეთის ცხოვრებას დავამჩნიე, არც იმ ხალხის აღშფოთებისათვის, რომელიც ჩემს წამოსვლაზე მასსიურათ გაიძახოდა: „სვანეთი დაობლდა, სვანეთს იღბალი არა ჰქონია და ეგნატეს წასვლით დავიღუპეთო“, — ნება მიბოძეთ გამოვიწვიოთ სამედიატორო სამართალში, რომელის განაჩენს პრესის საშუალებით გამოაქვეყნებთ. მედიატორებს დავასახელებ შემდეგ თქვენს მიერ თანხმობის გამოცხადებისა, რისთვისაც გაძლევთ ორი კვირის ვადას ამა წერილის დასტამბიდან.

ეგნ. გაბლიანი.

*) ამ წერილის დაბეჭვდა სხვადასხვა მიზეზების გამო დაგვიგვიანდა.

რედ.

## წერილი რედაქციის მიმართ,

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ მადლობა გამოვუცხადო თქვენის პატივცემულ გაზეთ „სამშობლოს“ საშუალებით ჩემ მიერ რწმუნებულ თვალდუეთის სკოლის რწმუნებულს სვიმონ სოლომონის ძეს ბინაევს, რომელმაც უფასოთ შემოსწირა ამ სკოლის მოწაფეებს სასწავლო ნივთები: კალმის ტარები, ფარანდაშები, კალმები და ქაღალდი. ეს დიდი ხელის წყობა არის სკოლისათვის, რადგან დღევანდელ პირობებში ძალიან დიდს გასაჭირს წარმოადგენს სასწავლო ნივთის შეძენა, უმისოთაც ყოვლის მხრივ შევიწროებულ მშობელთათვის.

თვალდუეთის სკოლის გამგე ი. [illegible]

რედაქტორი ი. ცინ[illegible]
გამომცემელი ამხან. „სამშობ[illegible]

იყიდება ბალახვანის შე[illegible]ში, ალექსანდრო[illegible] ხეტყის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები.
მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფ[illegible] სახლში № 3
113 1—თ

მშათა ქორ-ქოლამეების
ხრესილის აბანოზე
უკვე გაიხსნა სეზონი. წელს შედარებით წარსულ წლებთან ყველაფერი გაუმჯობესებულია და ფასებიც ზომიერია

— სალი კუჭი —
უელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულად შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაზზობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარ შველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ყაზზობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა — დასუსტებას. ყაზზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სადაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაზზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი უელაგარი ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაკვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს ულებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაზზობისაგან. უელაგარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჭიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ უელაგარს ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის

დაწვრილებითი ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი უელაგარი ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში ა. პ. ჩავლეიშვილის სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

უელაგარის ერთი. კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი.
9 (წლიური)